პ რ ო ე ქ ტ ი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №

2024 წლის --- მაისი

ქ. წყალტუბო

შპს „მაგთიკომი“-სათვის სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარით, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. წყალტუბოში რუსთაველის ქუჩა #27-ში ს/კ 29.08.34.107 მდებარე 2 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთზე განთავსებული რკინის კონსტრუქციის (ანძა) ნაწილი ანტენისა და აპარატურის განთავსების მიზნით, გადაცემის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 20 მაისის №48-4824141260 წერილი, რომელშიც ითხოვს თანხმობას შპს „მაგთიკომი“-სათვის სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარით, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. წყალტუბოში რუსთაველის ქუჩა #27-ში ს/კ 29.08.34.107 მდებარე 2 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთზე განთავსებული რკინის კონსტრუქციის (ანძა) ნაწილი ანტენისა და აპარატურის განთავსების მიზნით, გადაცემის შესახებ.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 122-ე მუხლის შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს შპს „მაგთიკომი“-სათვის სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარით, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. წყალტუბოში რუსთაველის ქუჩა #27-ში ს/კ 29.08.34.107 მდებარე 2 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთზე განთავსებული რკინის კონსტრუქციის (ანძა) ნაწილი ანტენისა და აპარატურის განთავსების მიზნით, გადაცემის შესახებ (დანართი თან ერთვის).
2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიას.
3. განკარგულება ძალაში შერვიდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

მოამზადა

მეორადი სტრუქტურული ერთეულის

ხელმძღვანელი მ. ბერაძე

შეთანხმებულია

აპარატის უფროსი გ. თათარაშვილი

კომისიის თავმჯდომარე რ. დიდავა

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია
G E O R G I A
CITY HALL OF TSKALTUBO MUNICIPALITY

წერილის ნომერი: **48-4824141260**
თარიღი: **20/05/2024**

ადრესატი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებუ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარეს

ბატონ თეიმურაზ ჭეიშვილს

ბატონო თეიმურაზ,

გაცნობებთ, რომ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიაში შემოვიდა შპს ,,მაგთიკომის'' წარმომადგენლის წერილი (თან ერთვის), რომელშიც აღნიშნულია, რომ 2022 წლის 2 ივნისს დადებული N2 საიჯარო ხელშეკრულებით, წყალტუბოს მუნიციპალიტეტისაგან იჯარის უფლებით გადაცემული ჰქონდა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ.წყალტუბოში რუსთაველის ქ.N27-ში ს/კ 29.08.34.107 მდებარე 2კვ.მ არასასოფლო სამეურნეო მიწის ნაკვეთზე განთავსებული რკინის კონსტრუქციის (ანძა) ნაწილი . აღნიშნულ ხელშეკრულებას 2024 წლის 2 ივნისს უმთავრდება მოქმედების ვადა და ითხოვს 5 წლის ვადით ახალი ხელშეკრულების დადებას.

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 122–ე მუხლის შესაბამისად, გთხოვთ, მოგვცეთ თანხმობა, შპს ,,მაგთიკომს'' სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარით გადაეცეს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ.წყალტუბოში რუსთაველის ქ.N27-ში ს/კ 29.08.34.107 მდებარე 2 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთზე განთავსებული რკინის კონსტრუქციის (ანძა) ნაწილი ანტენისა და აპარატურის განთავსების მიზნით.

პატივისცემით,

გენადი ბალანჩივაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

შპს "მაგთიკომი"
№ ED-24/05/16-005
16-05-2024 წ.

მაგთიკომი
MAGTICOM

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს
ბატონ გენადი ბალანჩივაძეს

ბატონო გენადი

გაცნობებთ, რომ 2022 წლის 2 ივნისს, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „მაგთიკომ"-ს შორის გაფორმდა იჯარის ხელშეკრულება N2, რომლის საფუძველზეც შპს „მაგთიკომ"-მა სარგებლობაში მიიღო ქ. წყალტუბოში, რუსთაველის ქუჩა N27-ში (ს/კ 29.08.34.107) მდებარე რკინის კონსტრუქციის (ანძა) ნაწილი და მის მიმდებარედ, 2 კვ.მ. მიწის ნაკვეთი, სადაც განათავსა ანტენები და აპარატურა. ასევე გაცნობებთ, რომ აღნიშნულ ხელშეკრულებას ვადა იწურება 2024 წლის 2 ივნისს.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ გაგვიფორმოთ ახალი ხელშეკრულება, 5 (ხუთი) წლის ვადით, 2022 წლის 2 ივნისის ხელშერკულებაში დაფიქსირებული პირობების უცვლელად.

შემსრულებელი: ბექარ ჯობაძე (ტელ: 599 22 22 20).

პატივისცემით
მთავარი ადმინისტრაციული ოფიცერი

ნოდარ ბაღათურია

შპს „მაგთიკომი" / Magticom LLC; საიდენტიფიკაციო კოდი / Identification Number 204876606
პოლიტკოვსკაიას ქ. N7, თბილისი 0186, საქართველო / 7 Politkovskaya St., Tbilisi 0186, Georgia
ტელ / Tel: (+995 32) 217 17 17; (+995 32) 217 17 77; ელ.ფოსტა / E-mail: office@magticom.ge

Classification: MAGTICOM Confidentia
Digitally signed by MagtiCom LLC